

# ქვის სამუშაოების წარმოება



1. პროგრამის სახელწოდება - ქვის სამუშაოების წარმოება

**2. სპეციალიზაციის კოდი - 040687**

**3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები:**

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში - Third level vocational qualification in building construction structures

**4. მიზანი**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საზოგადოებრივმა კოლეჯმა “აისი“ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა ქვის სამუშაოების წარმოების სპეციალიზაციის მიმართულებით, რომლებიც მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

**დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:** საბაზო განათლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

**5. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან (მონოლითური, ანაკრები და ქვის კონსტრუქციები) ან მის რეკონსტრუქცია-გადლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში.

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: მონოლითური კონსტრუქციების (სადირკველი, როსტვერკი, კედელი, სვეტი, გადახურვის

ფილა და ა.შ.) მომწყობი; ანაკრები კონსტრუქციების (სადირკველი, სვეტი, ფილა, რიგელი, კოჭი და ა.შ.) მემონტაჟე; ქვის (ხელოვნური, ბუნებრივი) კონსტრუქციების მომწყობი; კალატოზი; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

**6. სტრუქტურა და მოდულები**

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე

ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით“.

**კვალიფიკაცია „სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა“** კონცენტრაციით: ქვის სამუშაოების წარმოება, მოიცავს 6 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 4 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით და 6 ქვის სამუშაოების წარმოების სპეციალიზაციის მოდულს ჯამური 35 კრედიტის ოდენობით.

სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს - **59** კრედიტი.

სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 59 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 74 კრედიტი, რომელთაგან 59 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 (15კრედიტი).

**სწავლება-სწავლების ხანგრძლივობა:**

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 11თვე;  
 არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 13,5 თვე;

პროგრამა - „ქვის სამუშაოების წარმოება“ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკის“ სახით. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა სამშენებლო სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

| ზოგადი მოდულები |                              |                    |                  |
|-----------------|------------------------------|--------------------|------------------|
| №               | მოდულის დასახელება           | მოდულზე წინაპირობა | დაშვების კრედიტი |
| 1               | ინფორმაციული წიგნიერება 1    | საბაზო განათლება   | 3                |
| 2               | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | საბაზო განათლება   | 3                |
| 3               | რაოდენობრივი წიგნიერება      | საბაზო განათლება   | 2                |
| 4               | სამოქალაქო განათლება         | საბაზო განათლება   | 2                |
| 5               | მეწარმეობა 1                 | საბაზო განათლება   | 2                |
| 6               | უცხოური ენა                  | საბაზო განათლება   | 4                |

|       |    |
|-------|----|
| ჯამი: | 16 |
|-------|----|

| პროფესიული/დარგობრივი მოდულები |                                  |                             |         |
|--------------------------------|----------------------------------|-----------------------------|---------|
| №                              | მოდულის დასახელება               | მოდულზე წინაპირობა          | კრედიტი |
| 1                              | გაცნობითი პრაქტიკა               |                             | 1       |
| 2                              | მშენებლობის საფუძვლები           |                             | 1       |
| 3                              | სამშენებლო ნახაზების კითხვა      |                             | 3       |
| 4                              | სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 3       |
| ჯამი:                          |                                  |                             | 8       |

| მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში           |   |                             |         |
|--|---|-----------------------------|---------|
| არჩევითი მიმართულება/კონცენტრაცია - ქვის სამუშაოების წარმოების სპეციალიზაციის მოდულები |   |                             |         |
| №  | მოდულის დასახელება                                  | მოდულზე დაშვების წინაპირობა | კრედიტი |
| 1  | ყორე და ყორებეტონის კედლის მოწყობა                  | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 7       |
| 2  | კერამიკული აგურით კედლის/ტიხრების წყობის სამუშაოები | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 5       |
| 3  | სწორი ფორმის ბუნებრივი და ხელოვნური ქვის წყობა      | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 5       |
| 4  | ზღუდარების, თაღებისა და კამარების მოწყობა           | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 8       |
| 5  | ქვის კედლის მოპირკეთების სამუშაოები                 | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 7       |
| 6  | ქვის კონსტრუქციების წყობის აღდგენა                  | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 3       |
| ჯამი:  |   |                             | 35      |

7. მისანიჭებელი კვალიფიკაციის - სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
2. დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
3. წაიკითხოს/გაარჩიოს სამშენებლო ნახაზები ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად;
4. შეასრულოს სადემონტაჟო სამუშაოები კონსტრუქციული სქემის შესაბამისად;
5. უზრუნველყოს სამშენებლო მასალების შენარჩუნება მეორეული გამოყენებისათვის
6. მოაწყოს/შეაკეთოს ბუნებრივი და ხელოვნური ქვით კედლები და კონსტრუქციული ელემენტები (ზღუდარები, თაღები, კამარები);
7. შეასრულოს/აღადგინოს საძირკვლების მოწყობა და ჰიდროიზოლაცია;
8. შეასრულოს ფასადის მოპირკეთების სამუშაოები;
9. აღადგინოს/გაწმინდოს კედლებისა და ქვის კონსტრუქციების წყობა, დაზიანებული ფრაგმენტები, ბზარები.

#### **9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ასი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა დამოუკიდებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქვის სამუშაოების წარმოების სპეციალიზაციის შესაბამისად.

#### **10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

#### **11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

#### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.